

## საქართველოს ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესია

საქართველოს ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესია („სეპე“) მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიის ევანგელურ-პროტესტანტულ ფრთის სარწმუნოების აღმსარებელია. ეკლესიის მოძღვრებაში უმაღლეს ავტორიტეტად წმინდა წერილი მიიჩნევა.

სეპე რადიკალურად არ განსხვავდება სხვა პროტესტანტული ეკლესიებისაგან. ისინი აღიარებენ აგრეთვე სულიწმინდით ნათლობის შესაძლებლობას.

ეკლესია დასაბამს იღებს მე 20-ე ს. 90-ანი წლებიდან. ეკლესიის ცენტრი გორშია. მათ აქვთ ეკლესიები რუსთავში, თბილისში, ხაშურსა და ქარელში.

ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესიის მოძღვრების მიხედვით ადამიანი უნდა იყოს როგორც შინაგანი მრწამსის, ისე თავის ცხოვრების წესის მიხედვითაც.

ისინი დარეგისტრირებულნი არიან ფონდის სახით ( ფონდი „ერთობა“) 2001 წელს.

გამოსცემდნენ გაზეთს „ერი და რელიგია“, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ აგრძელებენ მის გამოცემას.

ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა. ეკლესიის წევრთა რაოდენობაა- 500 კაცამდე.